ჭეშარიტად, ღვინო უკვე აიკრძალა!

გადმოცემულია ანასისაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: მე ვუსხამდი ღვინოს ხალხს, რომლებიც აბუ ტალჰას სახლში იყვნენ მოყრილნი, და იმ დღეს მათი ღვინო დამზადებული იყო მკვახე და გამხმარი ფინიკებისგან. მაშინ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უბრძანა მომხმობს, რომ გამოეცხადებინა: «ჭეშარიტად, ღვინო უკვე აიკრძალა!». მან თქვა: აბუ ტალჰამ მითხრა: "გადი და გადაღვარე იგი!" მეც გავედი და ღვინო დავღვარე, და ის მედინის ქუჩებში გადმოიღვარა. ზოგიერთმა ხალხმა თქვა: "ზოგი ადამიანი მოკვდა მაშინ, როცა ის (ღვინო) მათ მუცლებში იყო". მაშინ უზენაესმა ალლაჰმა მოავლინა აიათი: «მათ ვინც ირწმუნეს და სიკეთეს აკეთებდნენ, ცოდვა არ ეკისრებათ იმაში, რასაც ისინი ჭამდნენ.." (ალ-მაიდა: 93).

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ანას იბნ მაალიქმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გვაცნობა, რომ ის ასმევდა ღვინოს მათ, ვინც მისი დედის ქმრის, აბუ ტალჰას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) სახლში იმყოფებოდა. იმ დღეს მათი ღვინო ფადიხი იყო – მშრალი და დაუმწიფებელი ფინიკის ნარევი. მაშინ ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მომხმობელმა გამოაცხადა, რომ "ღვინო უკვე აიკრძალა!“ აბუ ტალჰამ მითხრა: "გადი და გადაღვარე იგი!" მეც გავედი და დავღვარე. ღვინო მედინის ქუჩებში დაიღვარა, ზოგიერთებმა თქვეს: "ზოგიერთი საჰაბა დაიღუპა მის აკრძალვამდე, როცა ღვინო ჯერ კიდევ მათ მუცლებში იყო", მაშინ უზენაესმა ალლაჰმა გარდმოავლინა აიათი: «რომელთაც ირწმუნეს და კეთილ საქმეებს ასრულებდნენ, ცოდვა არ ეკისრებათ იმაში, რასაც ჭამდნენ...» [ალ-მაიდა: 93] ანუ: იმ მორწმუნეებს, რომლებმაც ღვინო მოიხმარეს მის აკრძალვამდე, ამაში ცოდვა არ ეკისრებათ.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/66034